№8

ოქტომბერი, 2020წ.

ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი

2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებში #14 მაჟორიტარულ ოლქში ხმათა უმრავლესობა „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს" კანდიდატმა გოგი მეშველიანმა მიიღო



#14 მაჟორიტარულ ოლქში ამომრჩეველთა ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

#14 მაჟორიტარული ოლქი

41	გოგი მეშველიანი	33370	55.41%		5	კახაბერ ოქრიაშვილი	23787	39.5
56	გიორგი ჭელიძე	874	1.45%		8	მაია ცაბუტაშვილი	670	1.11
55	მამუკა ჩოქური	400	0.66%		14	გიორგი შავრეშიანი	270	0.45
10	თემურ წიკლაური	217	0.36%		50	რობერტ გვარლიანი	149	0.25
30	ქეთევან ყანდაშვილი	123	0.2%		21	დარეჯან პეტრიაშვილი	120	0.2
25	გურამ ფადარაშვილი	112	0.19%		19	ამირან კორტი	88	0.15
20	ვიქტორ კუსიანი	40	0.07%					

გიგი მეშველიანი - მადლობა ძვირფასო ბოლნისელებო, დმანისელებო,თეთრწყაროელებო და წალკელებო.

ჩვენ ღირსეული გამარჯვება მოვიპოვეთ პირველივე ტურში.

მადლობა მაღალი აქტივობისთვის და ჩვენი გუნდისთვის გამოცხადებული ნდობისთვის!

ბოლნისში მერაბ კოსტავასა და იაკობ ცურტაველის ქუჩების მოწყობის მესამე ეტაპი მიმდინარეობს

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით ინფრასტრუქტურული სამუშაოები ატიურად გრძელდება. ქალაქ ბოლნისში, მერაბ კოსტავასა და იაკობ ცურტაველის ქუჩების მოწყობის მე-3 ეტაპი ხორციელდება.

პროექტის ფარგლებში ადგილობრივი ბაზალტით ქვაფენილის დაგება და ფასადების მოწყობა მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ უბანში მაცხოვრებელი ყველა მოსახლის ქიშკარი გამოიცვლება.

პროექტი „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა“ და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 175 000 ლარს შეადგენს.

„ქალაქ ბოლნისი გერმანელმა კოლონისტებმა დააარსეს და ვცდილობთ ჩვენს ქალაქს კატარინენფელდის დროინდელი იერსახე დავუბრუნოთ. ამიტომ ქალაქის მასშტაბით ქუჩებზე ქვაფენილების დაგება აქტიურად მიმდინარეობს. მერაბ კოსტავასა და იაკობ ცურტაველის ქუჩების მოწყობის ორი ეტაპი წარმატებით განხორციელდა, პროექტი დროულად შესრულდა, ამიტომ „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის“ ნებართვით, წინა სამუშაოების ეკონომიის ხარჯზე, უბნების მოწყობის მესამე ეტაპი დავიწყეთ. მოხარული ვარ, რომ ჩვენი ქალაქი კიდევ უფრო ლამაზდება და აქ ცხოვრება კომფორტული ხდება. ამ ორი უბნის მოწყობა

შემდეგ წელს სრულად დასრულდება“ , - განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

ოთხი თვის განმავლობაში მოსახლეობას კომუნალური გადასახადი აუნაზღაურდება

1 ნოემბრიდან 4 თვის განმავლობაში - ნოემბერში, დეკემბერში, იანვარსა და თებერვალში მოსახლეობას კომუნალური გადასახადი იმავე პრინციპით აუნაზღაურდება, როგორც ეს მოხდა ანტიკრიზისული გეგმის პირველ ფაზაში.

„ეს მოხდება ნოემბრიდან შემდეგი ოთხი თვის განმავლობაში და როგორც წინა ეტაპზე, შეეხება თითოეულ ოჯახს, რომელსაც ექნება 200 კილოვატ-საათამდე მოხმარებული ელექტროენერგია, ასევე 200 კუბურ მეტრამდე გაზის მოხმარება, ასევე ანაზღაურდება წყლის და დასუფთავების გადასახადი. ეს არის ის მინიმუმი, რითაც დღეს სახელმწიფოს შეუძლია, ჩვენს მოქალაქეებს მხარში დაუდგეს. ვთვლით, რომ ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი იმ ადამიანებისთვის, რომლებმაც პანდემიის და გლობალური კრიზისის გამო შემოსავალი დაკარგეს. გვესმის, რომ ჩვენს ბევრ მოქალაქეს მსგავსი მხარდაჭერა შეიძლება არ სჭირდება და მათ უკვე დღეიდან შესაძლებლობა ექნებათ, საკუთარი განაცხადის საფუძველზე უარი თქვან მთავრობის ამ მხარდაჭერაზე“, - განაცხადა გიორგი გახარიამ.

სოფლების, ტალავერისა და ფარიზის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტი იმოძრავებს

ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფლების ტალავერისა და ფარიზის მიმართულებით არსებული მუნიციპალური ტრანსპორტის პრობლემა მოგვარდა. პრობლემის მოგვარების მიზნით, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიამ სამარშრუტო ტაქსები ავტობუსებით ჩაანაცვლა და ორივე სოფლის მიმართულებით უკვე ნებისმიერ მსურველს შეუძლია გადაადგილება. აღნიშნული მიმართულებით ავტობუსები იმოძრავებენ ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, დღეში ორჯერ.

თბილისის მერიამ, მუნიციპალიტეტს საჩუქრად ხუთი ერთეული სატრანსპორტო საშუალება გადასცა, აქედან ორი უკვე გავიდა ტალავერისა და ფარიზის მიმართულებით, დარჩენილი სამი ავტობუსი კი, არსებულ სამარშრუტო ხაზებს, საჭიროების მიხედვით, ეტაპობრივად დაემატება.

შეგახსენებთ, რომ ბოლნისის მერიამ, მოქალაქეების კომფორტული გადაადგილების მიზნით, მუნიციპალური ტრანსპორტის განრიგის ცვლილების გადაწყვეტილება მიიღო. 28 სექტემბრიდან, რატევანი-რაჭისუბნის მიმართულებით მოძრავი ავტობუსები ნაცვლად 08:00 საათისა მუშაობას 07:45 საათზე იწყებენ და 20:30 საათზე ასრულებენ.

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის მოთხოვნით, საზოგადოებრივი ტრანსპორტი კვირაში ექვსი დღე, შაბათის გარდა, ე.წ ,,რკინიგზის დასახლების" მიმართულებითაც იმოძრავებს. რატევანის მიმართულებით მოძრავი მუნიციპალური ავტობუსების მარშრუტი კი, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით გაიზარდა და ავტობუსების ბოლო გაჩერება N3 ქუჩაზე იქნება.

რეკომენდაციები COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევების ბინაზე მართვის დროს: დარჩით სახლში!

არ წახვიდეთ სამსახურში, სკოლაში, მაღაზიასა თუ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში

არ ისარგებლოთ საზოგადოებრივი ტრანსპორტით ან ტაქსით

დროის უდიდესი ნაწილი გაატარეთ იზოლირებულად, ოჯახის წევრებისგან უშუალო კონტაქტის გარეშე

თუ ოჯახის წევრებთან კონტაქტი გარდაუვალია ოჯახის ყველა წევრმა უნდა გამოიყენოს ნიღაბი

არ გამოიყენოთ საერთო სარგებლობის ნივთები მაგ.: ჭურჭელი, პირსახოცი, თეთრეული, ტელეფონი.

ოთახი გაანიავეთ ხშირად ფანჯრის გაღებით

გაწმინდეთ და საგულდაგულოდ გაასუფთავეთ ხშირად შეხებადი ზედაპირები, ასევე სველი წერტილები: მაგ.: მაგიდის ზედაპირები, კარის სახელურები, მობილური ტელეფონი

დასუფთავებისთვის გამოიყენეთ ზედაპირების სადეზინფექციო საშუალებები, რომელიც შესაძლებელია გამოიყენოთ საყოფაცხოვრებო პირობებში

მიიღეთ ბევრი სითხე

არ მიიღოთ ანტიბიოტიკი ან სხვა პრეპარატი ექიმის დანიშნულების გარეშე

გააგრძელეთ რეგულარული მედიკამენტების მიღება და არ შეცვალოთ მკურნალობის გეგმა ექიმის დაუკითხავად

ხველის სიმპტომის გამოვლენის შემთხვევაში მოერიდეთ ზურგზე წოლას

ყურადღებით დააკვირდით საკუთარ სიმპტომებს

თუ თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად ან სწრაფად გაუარესდა

გაქვთ სუნთქვის გაძნელება, ქოშინი, სახის ან ტუჩის მიდამოს ციანოზი და სხვ. , დაუკავშირდით ოჯახის ექიმს ან 112-ს ოპერატორი გააფრთხილეთ, რომ დადასტურებული გაქვთ COVID-19-ის ვირუსი

საქართველოს მთავრობა



ახალგაზრდები ახალი იდეებით

ახალგაზრდობა ძალაა, რომელსაც შესწევს უნარი შეცვალოს და გააუმჯობესოს სახელმწიფო სისტემა, გაზარდოს ეკონომიკური აქტივობა, გააძლიეროს კულტურისა და განათლების სფეროები, დანერგოს ახალი ინოვაციური მოდელები და თავისი ცოდნისა და უნარების რესურსით იყოს ძლიერი და მდგრადი ქვეყნის საყრდენი. ახალგაზრდებს აქვთ უფლება, თავიანთი პოტენციალის სრული რეალიზების. მათ ფორმალური და არაფორმალური განათლებით დიდი როლი აკისრიათ ქვეყნის განვითარების პროცესში, შესწევთ ძალა სამყარო უკეთესობისკენ შეცვალონ, გაზეთი „ბოლნისი" გაგაცნობთ 22 წლის ივანე ერისთავს, რომელიც მეგობრებთან ერთად ახალ ინოვაციურ მოდელზე მუშაობს, მოდელი საპილოტეა და უახლოეს მომავალში, ინტერნეტ მომხმარებელს, სრულიად ახალ ონლაინ პლატფორმას შესთავაზებს, სადაც 2 ენაზე დეტალურად იქნება აღწერილი ბოლნისის რესურსები. აღნიშნული პროექტის „ბოლნისის რესურსების რუკა" მიზანია ბოლნისის მუნიციპალიტეტის რესურსების და პოტენციური რესურსების შესახებ თემში არსებული ინფორმაციების მოკვლევა და ონლაინ პლატფორმის შექმნა, რის შედეგადაც, რეგიონით დაინტერესებულ ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებს, შესაძლებლობა ექნებათ, მიზანმიმართულად განახორციელონ ამა თუ იმ დარგში არსებული რესურსების ათვისება შემდგომი გამოყენებისთვის.

-ივანე, საიდან გაჩნდა იდეა, დამდგარიყავი ახალი გამოწვევების წინაშე?

-მეგობრებთან ერთად მუშაობა პროექტზე 2017 წლიდან დავიწყე, სამუშაო პროცესში გუნდის მიერ გამოიკვეთა მნიშვნელოვანი დარგები, რომელიც რეგიონში არის პროგრესული და რომლის ათვისებაც სრულიად შესაძლებელია. ჩვენ ვართ პირველი რეგიონი, სადაც გვაქვს საპილოტე პროექტი „რესურსების რუკა".

-საკმაოდ აქტიური ადამიანი ხარ, ჩართული ხარ სხვადასხვა პროექტებში, თუ არის ადგილი, სადაც შენი თავი იპოვე?

-ჩემი დევიზია „ახალი იდეებისთვის ახლის ძიებაში", სამწუხაროდ არ ვარ სტაბილური ადამიანი, არ ვიცი რა მინდა, სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, სწავლაც არ გავაგრძელე, იმ ეტაპზე, როცა უნდა მესწავლა, არ ვიყავი ჩამოყალიბებული, არ ვიცოდი სად მესწავლა ან კი მინდოდა? სწორედ ამიტომ დავიწყე არაფორმალური განათლების მიღება, ჩავერთე უამრავ პროექტში, ვცდილობ მოვახდინო საკუთარი თავის რეალიზება და ფეხი ავუწყო ინოვატორულ იდეებს. სამწუხაროდ, დღეს ადამიანებს სიახლის შიში აქვთ, ახალგაზრდებმა სწორი მიდგომებით უნდა დავამსხვრიოთ ძველი სტერეოტიპები და ცხოვრება უკეთესობისკენ შევცვალოთ.

-როგორი ადამიანია ივანე ერისთავი?

-ცოტა უხერხულია საკუთარ თავზე საუბარი, მაგრამ ივანე ერისთავი არის ის ადამიანი, ვისთვისაც სიყვარული, სითბო და ერთგულება უალტერნატივოა.

- სად ხედავ თავს ყველაზე კომფორტულად?

-სადაც მეტი თავისუფლებაა, სადაც არ იზღუდები, სადაც ჩარჩოებში არ მოგაქცევენ და მეტ გასაქანს მოგცემენ იმისთვის, რომ მოახდინო საკუთარი პოტენციალის რეალიზება.

-რა არის შენი სამომავლო გეგმები?

-არ დაგიმალავთ და ახალი გამოწვევის წინაშე ვდგავარ. მივიღე შემოთავაზება ვითანამშრომლო ფონდ ინდიგოსთან, რომელიც რეგიონებში კინო-თეატრების ადვოკატირებას ახდენს. მე ამ ეტაპზე შუამავალი ვარ ადგილობრივ თვითმმართველობასა და ფონდს შორის. თუ ყველაფერი დადებითად გადაწყდა და მოვიძიეთ სპონსორები, ჩვენს ქალაქს ექნება მულტიფუნქციური სივრცე კინო-თეატრში, სადაც უამრავი საგანმანათლებლო დარგი იქნება.

-ივანე, რა არის ის, რაც ყველაზე მეტად გსურს?

-მსურს ვიცხოვრო მშვიდობიან ქვეყანაში, სადაც ახალგაზრდები მუდმივად განვითარების პროცესში იქნებიან, დაკარგავენ ახალი გამოწვევების შიშს და მათი შესაძლებლობები ბოლომდე იქნება გამოყენებული.

მარინა გავაშელი

სვეტიცხოვლობის დღესასწაულს მრევლი ბოლნისიდანაც შეუერთდა

14 ოქტომბერს, მართლმადიდებელი სამყარო სვეტიცხოვლობას, იგივე კვართის დღესასწაულს ზეიმობს, რომელიც საქართველოში ყოველი წლის 14 ოქტომბერს აღინიშნება, ამ დღესთან დაკავშირებით, ტრადიციულად, სვეტიცხოველში სადღესასწაულო წირვას კათოლიკოს-პატრიარქი აღავლენს. დღესასწაულს მრევლი ბოლნისიდანაც შეუერთდა, სპეციალურად ამ დღისთვის, ბოლნისელმა გულივერ დავითულიანმა ბოლნელი მთავარეპისკოპოსის, მეუფე ეფრემის ლოცვა -კურთხევით, მისივე შექმნილი ესკიზით დაამზადებინა სხვადასხვა ზომის ჯვრები, რომელიც სვეტიცხოვლის ტაძარში დაბრძანდა, ნაწილი კი მომლოცველებს გადაეცა. გულივერმა დიდი ხნის ჩანაფიქრი რეალობად აქცია, როგორც პროფესიით მშენებელი გვიყვება, მან მეუფე თადეოზისგან იცოდა, რომ ბოლნური ჯვარის ფესვები კაბადოკიიდან მოდის, სწორედ ამიტომ, ქართველების ეროვნული სიმბოლო ბოლნური ჯვარი და ქრისტიანობის მქადაგებლის, წმინდა ნინოს ჯვარი გააერთიანა და შექმნა საერთო სიწმინდე, რომელიც მომლოცველებს გადაეცათ.

გულივერ დავითულიანს ეკუთვნის ქართული ეროვნული სიმბოლოს ბოლნური ჯვრის კედლებიდან რეალობაში გადმოტანის იდეა, მისი ინიციატივით დამზადდა პირველი, გულზე სატარებელი ბოლნული ჯვარი.

,,სვეტიცხოვლობას ბოლნური ჯვრებით შევუერთდით, რომელიც ჩემი ესკიზით, ჩემივე ინიციატივითა და მეუფის ლოცვა-კურთხევით დამზადდა, დიდი ხნის ჩანაფიქრი განვახორციელე, ვინაიდან ვიცოდი, ბოლნური ჯვრის ისტორია, შევქმენი ესკიზი, სადაც გავაერთიანე ორი სიწმინდე, დავამზადეთ 200 ცალი ახალი ჯვარი, რომელიც მრევლს გადაეცა. ეს არის ჩვენი სიმდიდრე, მემკვიდრეობა, რომელიც არ უნდა დავივიწყოთ. შეუძლებელია არ აღვნიშნო კომპანია ,,არემჯის" როლი ამ საქმეში, სწორედ ,,არემჯის" ფინანსური მხარდაჭერით შევძელი ამ ჩანაფიქრის განხორციელება, რისთვისაც მადლობას ვუხდი კომპანიის წარმომადგენლებს". აღნიშნა გულივერ დავითულიანმა.



მაგდა დევნოზაშვილი

ბოლნისის მერიაში კვლავ ამოქმედდა ცხელი ხაზი

Covid 19-ით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბოლნისის მერიაში კვლავ ამოქმედდა ცხელი ხაზი.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პირებს, რომლებსაც აღენიშნებათ კორონა ვირუსის ნიშნები ან იმყოფებიან თვითიზოლაციაში და სჭირდებათ დახმარება, შეუძლიათ დარეკონ შემდეგ ნომრებზე:

ცხელი ხაზი 599859845;

მობილური ჯგუფი 595 06 52 15;

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია ცხელ ხაზზე შემოსულ ზარებს შეისწავლის და მოქალაქეებს შესაბამის დახმარებას გაუწევს.

არტიზანული ბიო პური ,,ჩვენები“ - ჯვრის გამოსახულებით - ეს ბოლნისელი რუსუდანის ხელწერაა, რომლის წარმოებასაც უწმინდესი უჭერს მხარს

სრულიად შემთხვევით ნანახმა, ნაცადმა და ჯანმრთელი პროდუქციის კეთების სურვილმა, ინტერესი გაუმძაფრა და ოჯახური საქმიანობა ერთ დღესაც მცირე ბიზნესად აქცია. რუსუდან ქვარცხავას, საზოგადოება არაერთი სფეროდან იცნობს, მუშაობს კლინიკაში, პარალელურად არის ფოლკლორული ანსამბლის „ბოლნელას“ წევრი და გალობს ტაძარში. ჰყავს მეუღლე და 2 შვილი.

მრავალმხრივი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებულმა ჩვენმა რესპოდენტმა, ინტერნეტში ნანახი რეალობაში გადმოიტანა და ბუნებრივი საფუარის მომზადება ჯერ მაჭარზე და მჭადის ფქვილზე სცადა, თუმცა პირველი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. ასეთი პრინციპით მოზელილი მშრალი ბურთები მომავლის იმედით მაცივარში შეაბრძანა. რუსუდანმა ბიო პროდუქციის მომზადების ინტერესი არ დაკარგა და დაიწყო მასალების მოძიება, პარალელურად, საფუარის მომზადების ტექნოლოგიებსაც პრაქტიკაში სწავლობდა.

„ინტერნეტში ბიო საფუარის მომზადების ტექნოლოგიას წავაწყდი, რომელსაც მამაო ამზადებდა და ჩემი ახალი საქმიანობა სრულიად სპონტანურად წამოვიწყე, მამაოსაც ვესაუბრე, მაგრამ მიუწვდომლად მეჩვენა ამ საფუარით ცომთან ურთიერთობა, ჩემი მშრალი ბურთები მაცივარში შევაბრძანე. თუმცა, რამდენიმე თვეში, ისევ წავაწყდი ინტერნეტ-სივრცეში ბიო პურებს. ამჯერად უკვე ვიცოდი, რა მინდოდა, ვათენებდი ღამეებს, რომ ცომთან მქონოდა კავშირი,

ასე ნელ-ნელა, პურის მსგავსი გამოვიდა, გადავწყვიტე, დროჟი საერთოდ ამომეღო დღის წესრიგიდან და გადავედი ბუნებრივ საფუარზე“.

100%-ით ნატურალური, ვიტამინებით, მინერალებითა და მიკროელემენტებით სავსე ბიო, არომატული პური, მოითხოვს ძალიან დიდ შრომას. პირველ რიგში, უნდა მომზადდეს ბიო საფუარი, რომელსაც დროის სწორად გადანაწილება სჭირდება.

„არომატული და ბიო პურის მომზადება დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს, უნდა შექმნა ბიო საფუარი, თავდაპირველად 10 დღე დაჭირდა ბაზას. მას ყოველდღიური კვება სჭირდება და გარკვეული ეტაპები, რომ სასურველი საფუარი მიიღო. არტიზანულიც სწორედ აქედან მოდის, რომ შენი შემოქმედებაა, თავიდან ბოლომდე შენი შექმნილია, როგორც ხელოვანი ქმნის თავის ნაშრომს. ჯანმრთელია და ბიოლოგიურად სუფთა“, ამბობს რუსუდანი.

არტიზანული ბიო პური - ეს ერთ-ერთი სახეობა და მიმდინარეობაა პურის ცხობის კატეგორიებში, ძალიან ჰგავს ძველ ქართულ ფურნეს, მას თავისი ტექნოლოგიები აქვს, რომელიც აუცილებლად ხაშზე, ანუ ბუნებრივ საფუარზე მზადდება. ეს არის ადამიანის მიერ ტრადიციული ტექნოლოგიებით შექმნილი, ბუნებრივი და ღირებული პროდუქტი, რომელიც ხელოვნებასთან არის შერწყმული, კარგად გააზრებული და დაგეგმილი.

„არტიზანული იმიტომ ჰქვია, რომ ხელოვნების თანშერწყმაა. ისეთ ეტაპებს გადის ცომი, რომ სხვაგვარად ვერც იქნება. ამოსულ ცომს სასწორის მეშვეობით თანაბრად ვყოფ, ამიტომ გუნდებს კალათაში ჩავაბრძანებ და ვამზადებ გამოსაცხობად. ეს ყველაფერი იწყება საღამოს 6 საათიდან და თითქმის, ღამისთევით გრძელდება. იზილება ცომი, რომელსაც მინიმუმ 3-4 საათი სჭირდება ამოსასვლელად, შუალედებში ე.წ. გადაკეცვას საჭიროებს, რომ ცომმა თავის ენაზე დაიწყოს საუბარი. ეს ძალიან სასიამოვნო პროცესია. განტვირთვაა ერთგვარი, ყოველი შეხება ცომთან, არის ახალ-ახალი ემოცია”.

არტიზანული პურის ხიბლი კიდევ მის ვიზუალშია, მცხობელს შეუძლია შექმნას სხვადასხვანაირი ფორმითა და ნახატით, რაც ალამაზებს და ამშვენებს პურს. რუსუდანის ბიო პურს, სხვებისგან სწორედ მასზე გაკეთებული ჯვარი განასხვავებს. ,,არტიზანული ბიო პური'' - ჯვრის გამოსახულებით - ეს რუსუდანის ხელწერაა, მას მხოლოდ ბოლნისში, მხოლოდ ჩვენი რესპოდენტი აცხობს. რუსუდანის ქართული პური, ქართული ენდემური ჯიშის ბიო ხორბლისგან წარმოებული, ბიო წითელი დოლის ცეხვილითა და ფირმა „ლომთაგორას“ თეთრი ფქვილით მზადდება. რაც შეეხება ქართულ ხორბალს, მისი პოპულარიზაცია, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის 2009 წლის საშობაო ეპისტოლემ განაპირობა. გამომდინარე აქედან, რამდენიმე წელიწადში, ქართული ჯიშების ბიო პროდუქტების წარმოების ხელშემწყობი გაერთიანებები ჩამოყალიბდა, რომლის მთავარი სტრატეგია, ქვეყნის სახნავი მიწების 70%-ზე ქართული ჯიშის ხორბლის, 30%-ზე კი სხვა კულტურების დათესვა იყო. რაც შეეხება ქართულ ხორბალს, სხვებისგან მაღალი ხარისხითა და მთელი რიგი თვისებებით გამოირჩევა, რაც მას განსაკუთრებულ სელექციურ ღირებულებას ანიჭებს. ქართული სახეობები სოკოვანი დაავადების მიმართ მაღალი კომპლექსური იმუნიტეტით, გარემოსადმი ადაპტაციის მაღალი უნარით, პურსაცხობით და სხვა საუკეთესო თვისებით გამოირჩევა. ჩვენი წინაპრები, მას ასევე იყენებდნენ, როგორც



სამკურნალო მცენარეს. სწორედ ეს თვისებები გახდა საფუძველი, პატრიარქის საშობაო ეპისტოლეში ქართული ხორბლის მოხსენიების.

"საქართველო ყოველთვის იყო და კვლავაც უნდა გახდეს ვაზისა და ხორბლის ქვეყანა. ჩვენი წინაპრებისთვის ღვინო და პური, გარდა თავისი ჩვეულებრივი მნიშვნელობისა, მაცხოვრის ხორცისა და სისხლის სიმბოლოს უკავშირდება და ამიტომაც, ქართველ გლეხს მათდამი ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა, და განსაკუთრებულადაც უვლიდა. ეს უნდა აღდგეს... სავალალოა, მაგრამ ფაქტია, რომ უნიკალური ქართული ხორბალი გაქრობის პირასაა... მოსახლეობამ უარი უნდა თქვას ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქციაზე, თვითონ უნდა დაიწყოს მიწის დამუშავება და შექმნას მცირე საწარმოები, ხელოვნური ტექნოლოგიების საპირისპიროდ. დღეს უკვე დიდი ბიძგი მიეცა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას და მათზე მოთხოვნილებაც და ფასიც მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება... ვიდრე ჯერ კიდევ შემორჩენილია უნიკალური ქართული სასოფლო-სამეურნეო ჯიშები, თითოეულმა ჩვენგანმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ეს საქმე რეალობად იქცეს. ამით ჩვენს სიმდიდრესაც შევინარჩუნებთ და მომავალი თაობების ჯანმრთელობასაც დავიცავთ", - ბრძანა პატრიარქმა 2009 წლის საშობაო ეპისტოლეში.

რუსუდანისთვისაც სწორედ ის, რომ ჯანმრთელ პროდუქტს შესთავაზებდა ოჯახს, გახდა ახალი წამოწყების მიზეზი. დაიწყო ერთი პურით და დღესდღეობით, ყოველგვარი ტექნიკის გარეშე, აცხობს საშუალოდ 20 პურს. პირველი ნამუშევრის დეგუსტაცია ოჯახისა და სამსახურის პრეროგატივა იყო. ნელ-ნელა ასწორებდა ხარვეზებს. სწორედ ბიზნეს იდეაც სამსახურში გაჩნდა. გემოვნური და კვებითი თავისებურებით გამოცხობილი პური, ცხობისას არაჩვეულებრივ სურნელს აყენებს. სწორედ ამ თვისებების გამო პურზე მოთხოვნა დღითიდღე იზრდება, რასაც რუსუდანი ტექნიკის გარეშე ვერ აკმაყოფილებს.

„ამ ყველაფერს ბევრი ღამისთევა და ყოველდღიური შრომა სჭირდება, ვაპირებ სამომავლოდ გაფართოებას, ჩემი სივრცე მჭირდება, ყველა საჭირო ინვენტარით, საცხობი და საზელი მეჩქარება. ძალიან დადებითად და ინტერესით შეხვდა მომხმარებელი. ვინც დააგემოვნეს, მეუბნებიან სხვა პურს ვეღარ ვჭამთო. ერთია ცხობა და მეორე ყველაზე მთავარი, კმაყოფილი მომხმარებელი. მადლობა მინდა გადავუხადო მათ ნდობისთვის, დღეს რომ აქამდე მოვედი, სწორედ მათი დამსახურებაა. მადლობა ყველა კეთილ ადამიანს, ვინც გვერდში დამიდგა და უანგაროდ, გულწრფელად მეხმარება, რომ არ დავყარო ფარ-ხმალი ამ სასიკეთო საქმის კეთებაში, სტიმულს მაძლევენ წარმატების მოპოვებაში. ჩვენი ხორბალი და მისგან წარმოებული პროდუქცია იმდენად ჯანმრთელია, რომ საზოგადოებამ მეტი უნდა გაიგოს ამის შესახებ.

ნონა ხუზმიაშვილი

ბოლნისელი ემიგრანტის წარმატებები უცხო მიწაზე

ბოლნისიდან ძალიან შორს, საქართველოს საზღვრებს გარეთ, არაერთი ჩვენი თანამოქალაქე ემიგრაციაში ცხოვრობს. ბევრს შრომობენ, რომ საკუთარი თავი, ოჯახები არჩინონ და უცხო მიწაზე დიდი შრომის შედეგად, დასახულ მიზანს მიაღწიონ. „გაზეთი ბოლნისის“ რესპოდენტი საბერძნეთში მცხოვრები, დღეს უკვე წარმატებული ქალბატონი, მაია სააკაძეა, რომელმაც სამშობლო 22 წლის წინ იმ იმედით დატოვა, რომ მალევე დაბრუნდებოდა. ამასობაში მრავალმა წელმა გაიარა, ბევრი სირთულე, დიდი შრომა და გზა, რომელსაც უცხო მიწაზე თითქმის ყველა ემოგრანტი გადის. დღეს ის ათენში მცხოვრები ქართველი ხელოვანი, ლითონის სამკაულების ოსტატია, მიუხედავად სირთულეებისა იცის, რომ მიზნისკენ სწორი სვლით, უამრავი წარმატების მიღწევაა შესაძლებელი, ათენის ერთ-ერთ ცენტრალურ რაიონში, საკუთარი სახელოსნო Maia-Att გახსნა. ქართველი ემიგრანტები შემოიკრიბა და მათი ოცნების ახდენაც შეძლო. როგორ ცხოვრობს და რა გზა გაიარა ემიგრაციაში წასულმა ბოლნისელმა, უკავშირდება თუ არა ხელოვანის სამომავლო გეგმები საქართველოს და კერძოდ ბოლნისს, ამ და სხვა საკითხებზე „გაზეთი ბოლნისი“ მაია სააკაძეს ესაუბრა.

„დავიბადე და გავიზარდე ბოლნისში, სოფელ ხატისოფელში, სოფლის რვაწლიანი სკოლის დასრულების შემდეგ, სწავლა გავაგრძელე რაჭისუბნის საშუალო სკოლაში, დედაჩემის სოფელში, საუკეთესო წლები იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ქიმიურ-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე ჩავაბარე. ინსტიტუტის დამთავრება საბჭოთა კავშირის დაშლას დაემთხვა, დავბრუნდი სოფელში, ჩემს პატარა ბიჭთან ერთად და მუშაობა ხატისოფლის სკოლაში, ქიმიის მასწავლებლად დავიწყე. ძალიან რთული პერიოდი იყო, თითქმის უხელფასოდ ვმუშაობდი. ელემენტარული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად არ გვყოფნიდა მცირე ანაზღაურება. სწორედ ამან გადამაწყვეტინა, შვილი დედასთან დამეტოვებინა და სამი წლით, საბერძნეთში წავსულიყავი.

-რთული იყო ალბათ ამ გადაწყვეტილების მიღება, როგორ დაიწყეთ უცხო მიწაზე ცხოვრება?

-თავიდან ძალიან რთული იყო, კუნძულზე სასადილოში დავიწყე მუშაობა, ენა არის მთავარი საკონტაქტო, ჯერ შენ უნდა მიიღო ის ადამიანები, სადაც ცხოვრობ და შენც აუცილებლად მიგიღებენ, სამი წლის შემდეგ, მართლაც დავბრუნდი საქართველოში, მაგრამ აქ იმდენად რთული სიტუაცია დამხვდა, რომ მიუხედავად იმ სირთულისა, რაც უცხო მიწაზე გადავიტანე, გადავწყვიტე უკან წავსულიყავი, სხვა გზა თავის გადასარჩენად არ არსებობდა.

-როგორი ურთიერთობა გაქვთ უცხო მიწაზე წასულ ემიგრანტებს?

- ქართველი ემიგრანტები ერთმანეთის გვერდით ვდგავართ, გვაქვს საკვირაო სკოლა, კულტურის ცენტრები, სადაც სხვადასხვა ღონისძიებები ტარდება, ნოსტალგიასაც ასე ვიქარვებთ.

-თქვენ საკმაოდ წარმატებული ხართ, რა გზა გაიარეთ?

-წარმატებას რომ მიაღწიო, ჯერ ბევრი წარუმატებლობა უნდა გაიარო, არ არის მარტივი, მითუმეტეს უცხო ქვეყანაში, მაგრამ თუ ადამიანი მოინდომებს, შეუძლებელი არაფერია. წარმატების ერთ-ერთი საიდუმლო არის პატივი სცე იმ ქვეყანას, სადაც ცხოვრობ. შრომის მოყვარეობით, სიყვარულით და მოქმედებით ყველაფრის მიღწევა შეიძლება. ადამიანმა მიზანს რომ მიაღწიო, ჯერ კარგად უნდა გაიაზრო, ჩამოაყალიბო რა გინდა, მერე წინ უნდა იყურო, რა დაბრკოლებაც არ უნდა შეგხვდეს, უკან დახევა არ შეიძლება, მხოლოდ წინ უნდა იარო და ღმერთიც ხელს მოგიმართავს. გალერეის გახსნა ადვილი არ იყო, სხვადასხვა საფეხური გავიარე, ორჯერ მივიღე მონაწილეობა საბერძნეთში გამოცხადებული გრანტების შესარჩევ ტურში, მესამედ ჩემმა ბიზნესგეგმამ გაიმარჯვა და დამაფინანსეს.

-საქართველოში თუ იყავით ხელსაქმით დაკავებული?

- სხვადასხვა ნივთების დამზადება ბავშვობიდან მიყვარდა, ეს ჩემი ჰობი იყო, რომელიც დღეს პროფესიად ვაქციე და შემოსავლის წყაროცაა. დღეს დღეობით, ჩემი მიღწევების პირველ საფეხურზე ვდგავარ, ეს დასაწყისია, ბევრი მაქვს გასაკეთებელი, გალერეაში ძირითადად ჩემი ხელნაკეთი ნივთებია, ასევე იმ ემიგრანტების, რომლებსაც მსგავსი ნიჭი აქვთ თავისუფალ დროს თავისთვის სხვადასხვა სახის ნივთებს ამზადებენ, შემოვიკრიბე მეგობრები და მათი ხელნაკეთი ნივთებიც ამ გალერეაში განვათავსე.

-თქვენს გალერეაში ძირითადად რა სახის ნივთებია, როგორ შეხვდნენ უცხოელები ქართულ ნამუშევრებს?

-ქართულ ნამუშევრებს დიდი ინტერესით შეხვდნენ, ძალიან მოსწონთ ჩვენი გალერეა. სხვადასხვა სახის სამკაულები, სუვენირები, აქსესუარები და დეკორატიული ნივთებია გალერეაში. დასამზადებლად ვიყენებ პოლონეთის თიხას, რომელიც ჰაერზე თავისით შრება, გამოწვა არ სჭირდება, ასევე მეტალს, ხეს, ტყავს, მძივებს, ფერად ნაჭრებს, თითქმის ყველაფერს, გააჩნია რას და როგორც ვამზადებ, ასევე, ახლო მომავალში, მსურველებს მსოფლიოს ნებისმიერი ადგილიდან, შეგეძლებათ ნამუშევრების შეძენა, ვაპირებ ინტერნეტ მაღაზიის ამუშავებს.

-თქვენ შეძელით ბავშვობის სხვა ოცნების ახდენაც და ასევე დიდ წარმატებას მიაღწიეთ.

-დიახ, სპორტის უძველესი სახეობა, მშვილდოსნობა ჩემი ბავშვობის ოცნება იყო, როგორც კი მომეცა ამის საშუალება, დავიწყე ვარჯიში და კარგ შედეგსაც მივაღწიე, მაქვს მსაჯის სერთიფიკატი, 8 მედალი, გავიმარჯვე როგორც პირადულ, ისე ჯგუფურ შეჯიბრებში, ამიტომ ვამბობ, შეუძლებელი არაფერია, მთავარია მოინდომო და იშრომო დასახული მიზნისთვის.

-ქალბატონო მაია, მომავალ გეგმებზეც გვიამბეთ, საბერძნეთში იცნობენ თქვენს შემოქმედებას, ხომ არ აპირებთ ბოლნისსაც გააცნოთ ნამუშევრები?

-ჩემი სამომავლო გეგმები მართლაც უკავშირდება საქართველოს, ძალიან მინდა და აუცილებლად შევძლებ ამას, ჯერ ბოლნისში, შემდეგ თბილისში საქველმოქმედო გამოფენას მოვაწყობ. ჩემს ქვეყანას გამარჯვებას, გაერთიანებას, გაბრწყინებას ვუსურვებ, ჩემი ოცნებაა, ყველა ქართველმა ბედნიერ საქართველოში იცხოვროს.

p.s. მაია სააკაძის ცხოვრება რთული გზაა წარმატებამდე, დიდი შრომა და ძალისხმევაა დასახული მიზნის მიღწევამდე და ერთგვარი მაგალითია, სამშობლოდან შორს წასული ემიგრანტებისთვის, როგორც თავად ამბობს, წინ ბევრი აქვს გასაკეთებელი, მისი გეგმები საქართველოს და ბოლნისსაც უკავშირდება.

„გაზეთი ბოლნისი“ დიდ წარმატებებს უსურვებს მას.

მაგდა დევნოზაშვილი

რა არის აუცილებელი ლამაზი ღიმილისთვის - „მარტივ კითხვებს“ რუსუდან ჩუმაშვილი პასუხობს

„მარტივი კითხვების“ სტუმარი ბოლნისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურის შესყიდვების მენეჯერი, რუსუდან ჩუმაშვილია, რომელმაც მარტივის შეტევას საკმაოდ სახალისოდ გაართვა თავი.

- დავიწყოთ, ისტორია გიყვართ?

- კი.

- მაშინ გვეცოდინება, რამდენ ხანს გრძელდებოდა ასწლიანი ომი?

- ალბათ, ასი წელი.

- არა, ცოტა მეტი, 116.

- აჰა, გასაგებია.

- რომელ ქართველ მეფეს შეარქვა ხალხმა მეტსახელად „ავგიორგი“?

- მახსოვს, გიორგი II-ს.

- ნამდვილად ასეა, სიტყვა „ერისიონი“ სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით ნიშნავს.

- არ მახსოვს, ნამდვილად.

- ცისიერი მთის თავს ზევით.

- არ ვიცოდი.

- ადამიანს ეს ორჯერ მიეცემა ცხოვრებაში, ორჯერვე უფასოდ, ხოლო მესამედ, უკვე ფულის გადახდა მოუწევს, რა არის ეს?

- რა არის ნეტა?

- ორჯერ მიეცემა უფასოდ და მესამედ ფულს ვიხდით, ყველა ადამიანს აქვს და საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, მაგრამ ლამაზი ღიმილისთვის აუცილებელი.

- კბილები?

- დიახ, კბილები. მუცელზე აბანო აქვს, ცხვირზე საცერი, თავზე ქიპი, ერთი ხელი აქვს და ისიც ზურგზე, რა არის?

- ძალიან მარტივია, აშკარად.

- კი, ყველა სამზარეულოშია, ძირითადად გაზქურაზე დგას და ყვირის.

- ჩაიდანი.

- დიახ, ჩაიდანია. მრგვალია კუდით და გამყოფია, რა იქნება?

- რისი გამყოფია?

- აზრების.

- მძიმე?

- კი, მძიმეა. ის მოგვითხრობს სიყვარულზე, საკუთარი სიცოცხლის ფასად, რა არის?

- გვირილა.

- კარგად მივდივართ. ქუდი სავსეა მარცვლებით, დილით შეხედავ მარცვლები გამქრალა, რა არის?

- ქუდი? ქუდი პირობითად, ალბათ ჰო?

- კი, რა თქმა უნდა, ყველას ქუდია ეგ.

- აა. ღამის ცა, ვარსკვლავებით.

- კი ასეა, ჩემს გამო ვურტყამ მას, მის გამო ვირტყამ მე, რაზეა საუბარი?

- რა? რატომ ვირტყამ მე? კოღო? კოღოს მოკვლისას, კი ასეა.

- დიახ კოღოა. სად ბინადრობენ თეთრი დათვები?

- არქტიკაზე.

- ადამიანის რომელ ორგანოში გვხვდება: უზანგი, ჩაქუჩი, გრდემლი?

- ცხვირი?

- არა, ყური.. ისევ ისტორია, რომელი იყო კაცობრიობაში ფართობით ყველაზე დიდი იმპერია?

- არ მახსოვს, რომი არ იქნება, არ ვიცი.

- არა, რომი არა, ბრიტანეთის იმპერია. მამასა და შვილის ასაკი ჯამში 66 წელია. მამის ასაკია შვილის ასაკის შებრუნებით. რამდენი წლისანი არიან? შეგიძლია სამი ვარიანტი თქვა, ან ერთი მაინც.

- მოიცა, ვიფიქრო, 42 – 24.

- კი ასეა, და 51-15, 60-6. რა შეიძლება შეგხვდეს წუთში ერთხელ, წელიწადში ორჯერ, ხოლო საუკუნეში არცერთხელ?

- არ ვიცი.

- ძალიან ადვილია, იფიქრე.

- წელიწადში ორჯერ, ჰო?

- კი, ფაქტობრივად თქვი პასუხი.

- ვერ ვხვდები.

- ასო „წ“.

- ვაი, რა ადვილი ყოფილა.

- ეს არ არის ცოცხალი არსება, მაგრამ აქვს 5 თითი, რა იქნება?

- ხელთათმანი.

- ვინ დადის დამჯდარი?

- მძღოლი?

- არა.

- აბა?

-ჭადრაკის მოთამაშე და ბოლო კითხვაა იბადება - ფრინავს, ცხოვრობს - დევს, კვდება - მიცურავს?

- პეპელა, არაა.

- არა ფიფქია, დიდი მადლობა ინტერვიუსთვის, მომდევნო სტუმარი ვინ იქნება?

- შმაგი სვანიძე.

დარეჯან ოქრუაშვილი

,,გერმანელები საქართველოში“ - საგანმანათლებლო პროექტის დახურვა ბოლნისში

ბოლნისის ახალ მუზეუმში გოეთეს ინსტიტუტის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის ,,გერმანელები საქართველოში“ დახურვა გაიმართა. დასკვნით ლექციას, რომელიც პროექტის ავტორმა, ისტორიკოსმა ლევან ჟვანიამ ჩაატარა, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ვალენტინა ნავერიანი დაესწრო. ღონისძიებაზე ასევე იმყოფებოდა გოეთეს ინსტიტუტის დირექტორი ბარბარა ფონ მიუნხჰაუზენი.პროექტის მიზანი ბოლნისსა და ქვემო ქართლში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის ქართულ-გერმანული ურთიერთობების გაცნობა იყო. სალექციო კურსის ფარგლებში სულ ხუთი ლექცია ჩატარდა და მასში მონაწილეობა 140-მა მოსწავლემ მიიღო.

31 Oktyabr 2020-ci il tarixli Gürcüstan Parlament Seçkilərində, #14 saylı majoritar seçki dairəsindəki seçicilərin səsləri aşağıdakı şəkildə bölündü:

"Gürcü Arzusu - Demokratik Gürcüstan" Qoqi Meşveliani, toplanan səs sayı: 33370 (55.41%)
“Birləşmiş Milli Hərəkat” - Kaxa Okriaşvili: 23787 (39.5%)

Gogi Meshveliani seçicilərə göstərdikləri etimada görə təşəkkür edir!

Əziz Bolnislilər, Dmanisi, Tetritskaro və Tsalka xalqı, sağ olun.

Biz ilk turda layiqli qələbə qazandıq.

Yüksək fəaliyyətinizə və komandamıza güvəndiyiniz üçün təşəkkür edirik! ”,- dedi Qoqi Meşveliani.

Talavera və Fariz kəndləri istiqamətində Bələdiyyə nəqliyyatı hərəkət edəcəkdir

Bolnisi bələdiyyəsinin Talaveri və Fariz kəndləri istiqamətində bələdiyyə nəqliyyatı problemi həll edilmişdir. Problemi həll etmək üçün Bolnisi Bələdiyyəsi mikroavtobusları avtobusla əvəzlədi və hər kəs hər iki kənd istiqamətində hərəkət edə bilər. Avtobuslar həftəsonları xaricində hər gün, gündə iki dəfə bu istiqamətdə hərəkət edir.

Tbilisi meriası bələdiyyəyə 5 vasitə bağışladı, bunlardan ikisi artıq Talavera və Fariz istiqamətində keçib, qalan 3 avtobus isə ehtiyac duyulduqca mövcud marşrutlara tədricən əlavə ediləcək.

Xatırlatmaq istəyirik ki, Bolnisi Bələdiyyəsi, vətəndaşların rahat hərəkəti üçün bələdiyyə nəqliyyatı cədvəlini dəyişdirməyə qərar verdi. 28 sentyabrdan etibarən Ratevani-Rachisubani istiqamətində hərəkət edən avtobuslar 08: 00-in yerinə 07: 45-də işə başlayacaq və 20: 30-da bitəcək.

Qeyd edək ki, əhalinin istəyi ilə ictimai nəqliyyat, şənbə günləri istisna olmaqla həftənin altı günü "Dəmir Yolu Qəsəbəsi" adlanan istiqamətdə hərəkət edəcək. Ratevan istiqamətində hərəkət edən bələdiyyə avtobuslarının marşrutu əhalinin mənafeyi baxımından artırıldı və son dayanacaq N3 küçəsində olacaq.

Əhaliyə kommunal xidmətlər dörd ay ərzində hökümət tərəfindən ödəniləcək

1 Noyabrdan etibarən 4 ay ərzində- Noyabr, Dekabr, Yanvar və Fevral aylarında əhaliyə kommunal xərclər böhran əleyhinə planın ilk mərhələsində olduğu prinsip ilə ödəniləcəkdir.

"Bu, noyabr ayından sonra dörd ay ərzində başlayacaq və əvvəlki mərhələdə olduğu kimi, 200 kilovat-saata qədər elektrik enerjisi, 200 kubmetrə qədər qaz istehlakı, habelə su və zibil xərcləri də daxil olmaqla hər bir ailəyə şamil olunacaq. Bu, dövlətin bu gün vətəndaşlarımızı dəstəkləmək üçün istifadə edə biləcəyi minimumdur. Pandemiya və qlobal böhran səbəbindən gəlirlərini itirən insanlar üçün bunun son dərəcə vacib olduğuna inanırıq. Anlayırıq ki, bir çox vətəndaşımızın bu cür dəstəyə ehtiyac olmaya bilər və bundan sonra onlar öz müraciətləri əsasında hökumətin bu dəstəyindən imtina etmə fürsəti əldə edəcəklər",- Qiorqi Qaxaria bildirib.

COVID-19-un təsdiqləndiyi halda onu evdə idarə etmək üçün tövsiyələr:

Evdə qalmaq!
İşə, məktəbə, mağazaya və ya ictimai yerlərə getməyin
İctimai nəqliyyatdan və taksilərdən istifadə etməyin
Ailə üzvlərinin birbaşa təması olmadan, vaxtınızın çox hissəsini təcrid olunmuş şəkildə keçirin
Əgər ailə üzvləri ilə əlaqə qaçılmazdırsa, ailənin bütün üzvləri maskadan istifadə etməlidir
Ümumi əşyalardan istifadə etməyin məs.: qab-qacaq, dəsmal, çarşaf, telefon
Pəncərələri açaraq otağı tez-tez havalandırın
Tez-tez toxunulan səthləri və hamam otaqlarını hərtərəfli təmizləyin məs.: masanın üstü, qapı tutacaqları, mobil telefonlar
Təmizləmək üçün səthi dezinfeksiya edən evdə əlverişli olan maddələrdən istifadə edin.
Bol miqdarda maye qəbul edin
Həkim təyin etmədən antibiotik və ya başqa dərman qəbul etməyin
Müntəzəm olaraq dərman qəbul etməyə davam edin və həkiminizlə məsləhətləşmədən müalicə planınızı dəyişdirməyin
Əgər öskürək əlamətiniz varsa, arxası üstə yatmaqdan çəkinin
Özünüzdə olan əlamətlərə diqqətlə nəzər yetirin
Əgər sizin səhhətiniz əhəmiyyətli dərəcədə və ya sürətlə pisləşdisə
Nəfəs darlığı, üzünüzdə və ya dodaqlarınızda siyanoz vs. Təsdiqlənmiş COVID-19 virusu olduğnuzu xəbardar etmək üçün ailə həkiminiz və ya 112 operatorunuzla əlaqə saxlayın
Gürcüstan hökuməti

COVID-19-un təsdiqləndiyi halda onu evdə idarə etmək üçün tövsiyələr:

Covid 19-un yaratdığı epidemioloji vəziyyətə görə Bolnisi Bələdiyyəsindəki qaynar xətt yenidən işə başladı. Bolnisi Bələdiyyəsində yaşayan, koronavirus əlamətləri göstərən və ya təcrid olunmuş və köməyə ehtiyacı olan şəxslər aşağıdakı nömrələrə zəng edə bilərlər:

Qaynar xətt 599859845;

Mobil Qrup 595 06 52 15;

Bolnisi Bələdiyyəsi qaynar xəttə daxil olan zəngləri araşdıracaq və vətəndaşlara müvafiq köməyi göstərəcəkdir.

არემჯი
სიახლეები
რიჩ მეტალს გრუპი

2020 წელს დაბა კაზრეთში მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა

დაბა კაზრეთში დაწყებული მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში კაზრეთის შიდა გზებზე - ჯამში 15 000 კვ.მ ფართობზე მოხდა გზის ამორტიზებული მონაკვეთების დამუშავება და ასფალტის საფარის დაგება.

მოსწავლეების უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, №1 და №2 საჯარო სკოლებს შორის, საავტომობილო გზის პარალელურად მოეწყო 106 მეტრი სიგრძის საფეხმავლო ბილიკი. რეაბილიტაცია ჩაუტარდა დაბაში მდებარე სამ დასასვენებელ სკვერსა და სამამულო ომში დაღუპულ გმირთა მემორიალს. საცხოვრებელი კორპუსების სიახლოვეს მდებარე დასასვენებელ სივრცეებში ბავშვებისთვის დამონტაჟდა ატრაქციონები, ხოლო უფროსებისთვის „ფანჩატურები“ და ასევე მოეწყო ღამის განათება.

,,წელს კაზრეთში ჩვენი კომპანიის მხარდაჭერით, არაერთი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა. ვფიქრობ, ამორტიზებული გზები ბევრ პრობლემას უქმნიდა ადგილობრივ მოსახლეობას. რეაბილიტაცია ჩაუტარდა, როგორც დაბაში შემოსასვლელ ცენტრალურ გზას და ხიდს, ასევე შიდა გზებს. მნიშვნელოვანია, რომ კეთილმოეწყო რამდენიმე სკვერი, სადაც ყველა თაობის წარმომადგენელი შეძლებს განტვირთვას და სასიამოვნო გარემოში დასვენებას. ჩვენ რა თქმა უნდა, მომავალშიც გავაგრძელებთ მსგავსი პროექტების განხორციელებას, რათა დაბის მოსახლეობა მუდმივად გრძნობდეს ჩვენს ზრუნვას და ყურადღებას.“ - **განაცხადა კომპანია „არემჯის“ წარმოების დირექტორის მოადგილემ არჩილ ჯაყელმა.**

„არემჯიმ“ „იდეების ლაბორატორია 2020“-ის გამარჯვებული გამოავლინა

დაბა კაზრეთის კულტურისა და დასვენების პარკში მდებარე უფუნქციო პავილიონი მალე ახალ სიცოცხლეს შეიძენს, ეს იქნება ახალგაზრდების შეკრების და გართობის ადგილი, სადაც თავისუფალ დროს შინაარსიანად გაატარებენ. პავილიონის კეთილმოწყობის შანსი, დაბა კაზრეთის №2 სკოლის მოსწავლეებს, „იდეების ლაბორატორიამ“ მისცა. ანა ზურაბიშვილი და მისი მეგობრები კომპანია **„არემჯის“** მხარდაჭერით

შეძლებენ პავილიონში ინფრასტრუქტურის მოწყობასა და სამაგიდო თამაშების შეძენას. მათი პროექტი, „პავილიონი -ახალგაზრდების მიზიდულობის ცენტრი“ ჟიურიმ, ოთხ საფინალო პროექტს შორის საუკეთესოდ დაასახელა, თუმცა არც დანარჩენი სამი პროექტი დარჩა ყურადღების მიღმა. გაზაფხულისთვის პავილიონი იქცევა ახალგაზრდების შეკრების მთავარ ადგილად, სადაც სხვა პროექტებიდან არჩეული საუკეთესო აქტივობებიც განხორციელდება.

„პროექტის მიზანია, დაბაში ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობა. ვფიქრობ, 2 კვირიანი ინტენსიური ტრენინგის დროს მიღებული გამოცდილება და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენა, სამომავლოდ ძალიან გამოადგებათ კაზრეთელ ახალგაზრდებს. წელს პროექტში მონაწილე ოთხივე გუნდმა ძალიან საინტერესო პროექტები შემოგვთავაზა. გამარჯვებულის გამოვლენის პროცესში ვიხელმძღვანელეთ იმ მიდგომით თუ რომელი პროექტი მეტ სარგებელს მოუტანდა დაბას და მთლიანად საზოგადოებას. ვფიქრობ „პავილიონის“ კეთილმოწყობის იდეა ძალიან კარგად დაინახეს ახალგაზრდებმა.“ - **განაცხადა საკადრო საკითხებში "არემჯის" აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ გიორგი ჩხეიძემ.**

მერაბ გოგოლაძე

,,არემჯი კოპერის“ მთავარი სამთოელი

,,არემჯი კოპერის“ მთავარი სამთოელი მერაბ გოგოლაძე, 1960 წელს დაიბადა, დაამთავრა სოფელ რატევანის საშუალო სკოლა და იმავე წელს დაიწყო მუშაობა მადნეულის კარიერზე, სამარკშეიდერო სამსახურის მარკშეიდერის პოზიციაზე. სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ მუშაობა განაგრძო ექსკავატორის მემანქანის დამხმარეს პოზიციაზე, ორი წლის შემდეგ შეიცვალა პოზიცია და გადავიდა ექსკავატორის მემანქანედ, 1984 წელს ჩააბარა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მრავალი წლის მანძილზე კარიერში სხვადასხვა პოზიციებზე იმუშავა. ცვლის უფროსიც იყო, ექსკავატორის უბნის უფროსის მოადგილეც და შემდეგ უფროსი, მთავარი ინჟინრის პოზიციაზეც იმყოფებოდა და ასევე იყო კარიერის უფროსიც.

დღეს **,,არემჯი კოპერის''** მთავარი სამთოელის პოზიციაზე ვიმყოფები. ამ საწარმოში თითქმის 43 წელია ვმუშაობ, ამ წლების განმავლობაში ასეთი მოწესრიგებული და წარმატებული, როგორც დღეს არის საწარმო არასდროს ყოფილა, ეს განაპირობა კომპანიის ხელმძღვანელობის შეცვლამ. 2017 წლიდან საწარმოს ხელმძღვანელობს ახალგაზრდა გუნდი, რომლებიც ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ **,,არემჯი''** ერთ-ერთი წამყვანი კომპანია იყოს ქვეყანაში და ასეც არის. მე ვამაყობ, რომ **„არემჯის“** გუნდის წევრი ვარ!

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი: ნინო კარგარეთელი
პასუხისმგებელი მდივანი: ბელა ონიანი, ტექნიკური რედაქტორი: ხატია ფოცხვერაშვილი, ჟურნალისტები: დარეჯან ოქრუაშვილი, მაგდა დევნოზაშვილი, ნონა ხუზმიაშვილი, მარინა გავაშელი. სტილისტი: ლილი უგრეხელიძე, კომპიუტერის ოპერატორი: ნანული მუშკუდიანი, ფინანსური მენეჯერი: ლენა გოგოლაძე.